„თსუ 100“

საიუბილეო ლაუდაციო

ზუსტად ასი წლის წინ, 1918 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით, 26 იანვარს) საზეიმოდ გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი - პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში და მაშინდელი, ყოფილი რუსეთის იმპერიის სივრცეში. ამ უმნიშვნელოვანესმა ფაქტმა დიდ წილად განსაზღვრა საქართველოს შემდგომი საგანმანათლებლო, კულტურული, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური გეზიც კი.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეს, არამედ საგანგებო პატივს მივაგებთ იმ დიდ საგანმანათლებლო ეროვნული ტრადიციების ორიათასწლოვან გზას, რომლის დაგვირგვინებაც იყო ჩვენი უნივერსიტეტის დაარსება. ეს გზა კი მუდამ ორი მიზნისკენ, ეროვნული და ევროპული ჰუმანისტური იდეალებისკენ მიემართებოდა! როდესაც ჩვენი ალმა–მატერის დამფუძნებლები ქართული უნივერსიტეტის დაარსებას გეგმავდნენ, მათი კონცეფცია ორ პრინციპს ეფუძნებოდა: აღედგინათ სახელოვანი ქართული

საგანმანათლებლო ტრადიციები და დაენერგათ ევროპული საუნივერსიტეტო მოდელი.

ეროვნული საგანმანათლებლო ფესვები კი ასწლეულების მიღმა იღებს სათავეს, როდესაც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა საყოველთაოდ ცნობილი კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა - კოლხეთის აკადემია.

მძლავრ საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საეკლესიო–სამონასტრო ცენტრები: პალესტინაში (V საუკუნე), სირიაში (VI საუკუნე), ბიზანტიასა (X-XI საუკუნეები), ბულგარეთში (XI საუკუნე).

„საზღვარგარეთ მყოფი ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში არსებული მონასტრების წყალობით, საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით, საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა“ - ასე აფასებდა საზღვარგარეთ არსებული ქართული სასულიერო–საგანმანათლებლო კერების მნიშვნელობას ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში ივანე ჯავახიშვილი.

თბილისის უნივერსიტეტის ფესვები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებულ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს გელათისა და იყალთოს აკადემიებს უკავშირდება, რომლებიც ევროპული უნივერსიტეტების დარად ფუნქციონირებდნენ ჩვენში. ცნობილია, რომ გელათის აკადემიაში, რომელიც 1106 წელს დაარსდა, მსოფლიოს უძველესი ბოლონიის უნივერსიტეტის მსგავსად, სასწავლო პროგრამა ძირითადად ტრივიუმისა და კვადრიუმის ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა.

XIV საუკუნემდე, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის შესაბამისად, საქართველო კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო მახლობელ აღმოსავლეთში, მაგრამ შემდეგში, სხვადასხვა უცხოელ მოძალადეთა შემოსევებისა და ერთიანი ფეოდალური საქართველოს ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაშლის გამო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თუ კულტურული წინსვლაც დიდი ხნით შეფერხდა. თუმცა ქართველმა ხალხმა, თავგანწირული ბრძოლის შედეგად, მაინც შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა, მდიდარი სულიერი თუ მატერიალური კულტურა და შეძლო უძველესი განათლების ჩამქრალი კერების აღორძინება.

არც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართველ ხალხში ჩამკვდარა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინების სურვილი. უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის მოთხოვნაც პირველად სწორედ 1832 წელს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ შეთქმულთა წრეში გაჩნდა, თუმცა ეს მოთხოვნა იმ დროის შესატყვისობაში განუხორციელებელი აღმოჩნდა ისევე, როგორც თავად 1832 წლის შეთქმულების მთავარი მიზანი.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამ წლებში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა.

უმაღლესი სკოლის დაარსების რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს წოდებრივი დანიშნულებით კი არ იყენებდა, არამედ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

ქართული კულტურისა და განათლების გადარჩენა-განვითარების, აგრეთვე ეროვნული მეცნიერული საქმიანობის ორგანიზების ხელშეწყობის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, „ღარიბ მოწაფეთა შემწე ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებამ“, რომელთა წევრები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საქართველოში უმაღლესი სკოლის დასაარსებლად.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მისია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და მისმა პრივატ-დოცენტმა, ბერლინის ვილჰელმის უნივერსიტეტის პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა ითავა. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული

ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გაძლიერების თვალსაზ-
რისით.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოში 1917 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების შექმნას. ამ საზოგადოებამ, რომელშიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები გაწევრიანდნენ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უნივერსიტეტის გახსნისთვის საჭირო სახსრების შეგროვებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურის ჩამოყალიბების საქმეში.

ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა უნივერსიტეტის დაარსების იდეას. 1918 წლის 26 იანვარი, უნივერსიტეტის საზეიმო გახსნის დღე, უდიდეს დღესასწაულად გადაიქცა. ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს მიესალმნენ აფხაზი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ებრაელი, პოლონელი და სხვა ხალხების წარმომადგენლები, რომლებიც შემოწირულობის გარდა, მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ამ საქმის სულისჩამდგმელებს. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების თანადგომა და სიყვარული დღემდე არის ჩვენი უნივერსიტეტის დიდი სიმდიდრე.

უნივერსიტეტში გახსნისთანავე სწავლის უფლება ჰქონდა გარკვეული საგანმანათლებლო ცენზის მქონე ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და აღმსარებლობისა. ნიშანდობლივია, რომ ნომერ პირველი სტუდბილეთი სტუდენტ გოგონას ჰქონდა, ხოლო პირველ პროფესორ-მასწავლებელთა შორის იყო ამერიკული წარმოშობის ქალბატონი ვანდა პოპე-ღამბაშიძისა.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების სამმა გამორჩეულმა მოვლენამ საქართველოს ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა, – სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას (1917 წლის 12 მარტი) მოჰყვა უნივერსიტეტის დაარსება, ხოლო 4 თვის შემდგომ კი 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით საამაყოა ურთიერთსასარგებლო მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელსაც საფუძველი უნივერსიტეტის გახსნისთანავე ჩაეყარა. ეს ურთიერთობა არანაირად არ უშლიდა ხელს, რომ უნივერსიტეტში მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწყებულიყო მსოფლიო რელიგიების შესწავლა და უნივერსიტეტი მუდამ ყოფილიყო განსხვავებული კონფესიების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის ალმა-მატერი.

ჩვენთვის ორმაგად ძვირფასია უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, სახელოვანი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილისა და უნივერსიტეტის სტუდენტის, შემდგომში სასულიერო და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის სახელები, რომლებიც ქრისტიანობისათვის, სამშობლოსათვის და ჰუმანისტური იდეალებისთვის თავგანწირვისთვის, საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

თბილისის უნივერსიტეტი თავდაპირველად დაფუძნდა, როგორც საზოგადოებრივი უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მას სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა და მასზე ფინანსურ-მატერიალური მზრუნველობა იკისრა. ამ სტატუსის მიუხედავად, უნივერსიტეტმა შეინარჩუნა აკადემიური თავისუფლება

და ავტონომიურობა, რომელიც დაკარგა საბჭოთა რეჟიმის პერიოდში და მხოლოდ 1992 წელს მოხერხდა მისი აღდგენა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2017 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, საქართველოს კონსტიტუციის პროექტში შევიდა დამატება, რომლის მიხედვით, აკადემიური თავისუფლების ძირითად პრინციპს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის კონსტიტუციური თავისუფლება დაემატა.

მეფის რუსეთის იმპერიის რღვევის შემდგომ 1918-21 წლებში, საქართველომ დამოუკიდებლობის 1028 დღის განმავლობაში, უამრავი საგარეო და საშინაო გართულებისა და გამწვავების მიუხედავად, შეძლო იმ პერიოდის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნა, რაშიც უდიდესი და უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა – მეცნიერებისა და სიბრძნის კერამ. სამაგალითოა მაშინდელი მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტის პროფესურასა და ხელისუფლებას შორის. უნივერსიტეტის პროფესორები ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ავალიანი, ალექსანდრე წერეთელი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას, როგორიც იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა, სახელმწიფო საზღვრების დადგენა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკის შემუშავება, - ხელისუფლებასთან ერთად უნივერსიტეტის პროფესურაც აქტიურად მონაწილეობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს მოდელი, ემყარებოდა ჭეშმარიტ ევროპულ პოლიტიკურ იდეებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ სახელმწიფოდ განიხილებოდა, რომლის სათავეშიც ევროპული, ზომიერი სოციალ-დემოკრატიული ძალა მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა (ხმების 80% 1919 წლის დამფუძნებელი კრების დემოკრატიულ არჩევნებზე), მან მოგვცა კოალიციური მთავრობის ფორმირებისა და ეფექტიანი მუშაობის ნიმუში.

დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპულმა პოლიტიკურმა ღირებულებებმა იმ საკანონმდებლო აქტებში ჰპოვა ასახვა, რომელიც გულისხმობდა: ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას (1919 წელს 5 ქალი აირჩიეს საკანონმდებლო ორგანოში); ეთნიკურ უმცირესობათა უფლების კონსტიტუციის დონეზე აღიარებას; შეკრებების, სიტყვისა და პრესის აბსოლუტურ თავისუფლებას; სრულ სეკულარიზმს; სოციალური უფლებების გარანტიებს (8 საათიანი სამუშაო დრო, შრომითი პირობების უზრუნველყოფა, არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვა და მშრომელთა სავალდებულო დაზღვევა).

დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად უწყობდა ხელს განათლებისა და კულტურის განვითარებას. 1918-21 წლებში ათეულობით ქართველი ახალგაზრდა (ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები) მთავრობის ხელშეწყობითა და დაფინანსებით მიავლინეს სასწავლებლად ევროპის წამყვან უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესი დიდ ინტერესს იწვევდა ევროპელ პოლიტიკოსთა შორის. ამის ნათელი მაგალითია 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში ევროპული სოციალისტური დელეგაციის ვიზიტი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური მოდელის შესასწავლად რამდენიმე თვით ეწვივნენ: მეორე ინტერნაციონალის ლიდერი კარლ კაუცკი; ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერები: რემზეი მაკდონალდი (შემდგომში არაერთგზის პრემიერ-მინისტრი), ტომას შოუ და ეთელ სნოუდენი; ბელგიის მუშათა პარტიის დამფუძნებლები: ემილ ჰიუსმანი (შემდგომში პრემიერ-მინისტი), ემილ ვანდერველდე (სახელმწიფო და იუსტიციის მინისტრი) და ლუი დებრიუკერი; საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერები: პიერ რენოდელი, ალბერტ ინგელსი და ადრიენ მარკე. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ვიზიტის შემდეგ ევროპულ პრესაში არაერთი სტატია და ნაშრომი გამოაქვეყნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმთავრესი დემოკრატიული მიღწევა - 1921 წლის კონსტიტუცია - თამამად შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდის მსოფლიოს საუკეთესო პოლიტიკურ აქტად. 1921 წლის კონსტიტუციაზე რემზეი მაკდონალდი საქართველოს შესახებ სტატიაში წერდა - „ქართველმა ხალხმა ამ კონსტიტუციის პროექტის შემუშავებით მთელ კაცობრიობას დაუმტკიცა მაღალი სამართლებრივი კულტურა და პოლიტიკური შეგნება“. კარლ კაუცკი კი საქართველოსადმი მიძღვნილ წიგნში აღნიშნავდა: „თუ ევროპაში ძალაუფლების

სათავეში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მოვა, იგი ვალდებული იქნება, იმავე პრინციპების მიხედვით იმოქმედოს და ქართული გამოცდილებისაგან მიღებული სარგებელი გამოიყენოს“.

ბელგიელი სოციალ-დემოკრატი ემილ ვანდერველდე ქართულ დემოკრატიას შემდეგნაირად აფასებს: „თუ არსებობს ერი, რომელმაც თავისუფლებისკენ თავისი გმირული სწრაფვითა და ერთიანობის ცნობიერებით დაიმსახურა ეს აღიარება, ეს უთუოდ საქართველოს რესპუბლიკაა“.

მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრებაზე 1921 წელს საქართველოში განვითარებული ურთულესი კატაკლიზმები. სამიოდე წლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოჰყვა. დამფუძნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას, სრულიად საქართველოს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამ მოწოდებას აქტიურად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა. სამშობლოს დასაცავად მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად, ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად

იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო–საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის.“

ქართველ იუნკრებთან ერთად, თბილისის მისადგომებთან მომდგარ მტერს თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს უნივერსიტეტის სტუდენტებმაც. მათ შორის, ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მეხსიერებას საუკუნოდ შემორჩება თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტის, მოწყალების დის, მარო მაყაშვილის სახელი. სამწუხაროდ, ამაო გამოდგა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა: საქართველო 70 წლის განმავლობაში აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის ოკუპაციაში.

პროტესტის გრძნობა და წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისადმი ხან შესუსტდებოდა, ხან ახალი ძალით იფეთქებდა უნივერსიტეტში, რომელიც სათუთად ინახავდა თავისუფლების იდეას. გრიგოლ რობაქიძემ მჭვრეტელურად გამოთქვა ამ ნიშანსვეტის დანიშნულება, რომ „ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული

შეგნებისა“.[1] მართლაც, საგულისხმოა 1940-იანი წლების ანტისაბჭოთა ორგანიზაციები: „თეთრი გიორგი“ (1941), რომელსაც მესვეურობდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ლევან (მუსტა-ფა) შელია; „სამანელები“, რომელიც 1942 წელს შეიქმნა და რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტი, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, პროფ. მიხეილ ზანდუკელის ასპირანტი გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, 1978 წელს მაშინდელი საბჭოთა კავშირი შეაზანზარა ქართველი ახალგაზრდებისა და პროფესორ-მასწავლებლების დემონსტრაციამ, რომელიც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დასაცავად გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების სტუდენტურმა მოძრაობამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მეთაურობით, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს საბჭოთა რეჟიმისგან გათავისუფლების საქმეში.

თბილისის უნივერსიტეტი დაარსებიდანვე ქართული მეცნიერების განვითარების უმთავრეს ცენტრად იქცა. აქ გადმოინაცვლეს პეტერბურგის ცნობილმა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სკოლებმა და განვითარების არნახულ სიმაღლეს მიაღწიეს. წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა და განვითარდა საქვეყნოდ აღიარებული ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, მათემატიკის, ქართული ისტორიოგრაფიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ქართული და კავკასიური

[1] *robaqiZe g.*, nawerebi, wigni IV, publicistika, epistolaruli memkvidreoba, 2012, 112.

ენათმეცნიერების, აღმოსავლური და კლასიკური ფილოლოგიის სამეცნიერო სკოლები.

ლოგიკური იყო ის ფაქტიც, რომ 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა აბსოლუტური უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ.

სამეცნიერო კვლევა კვლავაც პრიორიტეტულია უნივერსიტეტისთვის. საუნივერსიტეტო კომპიუტერული ქსელიდან ხელმისაწვდომია ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზა.

თსუ-ში ინტეგრირებულია 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 85-მდე სასწავლო ლაბორატორია, მათ შორის, ფაბლაბი, SMART|Lab, SMART|AtmoSim-Lab, Bloomberg ლაბორატორია, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, პათანატომიის ცენტრი, მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და სხვა, რაც კიდევ უფრო ზრდის უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალსა და პროდუქტიულობას.

უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობას ყოველთვის ენიჭებოდა განმსაზღვრელი ფუნქცია და მნიშვნელობა. დღეს მეცნიერებისა და განათლების როლი მთელს მსოფლიოში ისე მაღალია, როგორც არასდროს, ახალი საუკუნე ხომ მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტის ნიშნით ხასიათდება. თბილისის უნივერსიტეტი ცდილობს, მხარი აუბას გლობალიზაციის საერთო პროცესს.

ჩვენი მეცნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სამეცნიერო მუშაობის პარალელურად უდიდესი ძალისხმევით

მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს საუნივერსიტეტო განათლების მაღალი დონის შენარჩუნებას. ესაა ერთ-ერთი პარამეტრი, რომლითაც ჩვენი უნივერსიტეტი მოწინავეთა რიგებშია. დღეს უნივერსიტეტის უპირველესი ამოცანა – არა მხოლოდ შევინარჩუნოთ, არამედ ავამაღლოთ საუნივერსიტეტო განათლების დონე – გულისხმობს სასწავლო პროგრამებისა და გეგმების გამდიდრებას მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 000-მდე სტუდენტი სწავლობს, მათგან 61 % გოგონაა, 39 % - ვაჟი.

უნივერსიტეტში შვიდი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის წიგნთსაცავების ფონდები 8 მილიონამდე საბიბლიოთეკო ერთეულს ითვლის.

„ყოველი ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ მოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საერთო კაცობრიობის სალაროში საკუთარ წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩენს“... - წერდა ივანე ჯავახიშვილი, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციას.

ჯერ კიდევ 1920 წელს უნივერსიტეტის გამგეობამ შეადგინა ნოტიფიკაციის ტექსტი თბილისში უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ და გაუგზავნა ევროპისა და ამერიკის ცნობილ უნივერსიტეტებს. არსებობის პირველივე წლებში არაერთი ცნობილი უცხოელი მეცნიერი ჩამოვიდა თბილისში ლექციების წასაკითხად.

საბჭოთა რეჟიმის პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები ძირითადად სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობით შემოიფარგლებოდა.

2005 წლიდან, საქართველოს ბოლონიის პროცესთან შეერთების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ისეთ პროგრამებში, როგორებიცაა: ერაზმუს მუნდუსი, ერაზმუს+, ტემპუსი, მარი კიურის მე-7 ჩარჩო პროგრამა, Horizon 2020, ERC, ინსტიტუციური განვითარების პროგრამები და სხვ.

ამჟამად, თსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 200-მდე უცხოურ უნივერსიტეტთან მსოფლიოს 50-მდე ქვეყნიდან და ასევე გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობს 100-მდე ევროპულ უნივერსიტეტთან ერაზმუს პლუსისა და ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამების კუთხით. გააქტიურდა თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან და შესაბამისად, გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

ბოლო 3 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ასეულმა სტუდენტმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. ამავე პერიოდში თსუ-მა უმასპინძლა 500-ზე მეტ

უცხოელ სტუდენტს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში, ხორციელდება ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული მობილობა. პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, თსუ-ში მოქმედებს არაერთი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამაც - რომელთაგან უცხოენოვანი პროგრამების რიცხვი 22-ს შეადგენს.

საამაყოა უნივერსიტეტის უკანასკნელი მიღწევები. აქ იგულისხმება პოზიცია მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში, რაც რიგით №359 ადგილს ნიშნავს - The U.S. News&World Report – Best Global Universities Ranking 2017; „თაიმსის“ (Times Higher Education World University Rankings) მიხედვით (2016), რიგითი პოზიცია იყო №801+; შანხაის დარგობრივ რანჟირებაში (2017) თსუ ფიზიკის მიმართულებას №151-200 ადგილი უკავია. „Thomson Reuters“-ის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში ფიზიკური მეცნიერებების მიხედვით მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის თსუ 184-ე ადგილს იკავებს;

ნიშანდობლივია, რომ 2017-2018 სასწავლო წლისათვის ყველაზე მეტი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი თსუ–ის სტუდენტებმა მოიპოვეს – 895 მაგისტრანტიდან, რომელთაც სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს, 328 თსუ–ის სტუდენტია.

ჩვენი საერთო ძალისხმევა მიმართულია მომავლისკენ. 2016 წელს მომზადდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს – 2017-2021 წლებს. გეგმაში გაწერილია ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც უნივერსიტეტის განვითარების ქვაკუთხედად უნდა იქცეს. დოკუმენტზე სპეციალურმა ჯგუფმა იმუშავა, რომელიც თსუ

რექტორის ინიციატივით შეიქმნა. სამუშაო ჯგუფი სამი თვის განმავლობაში მუშაობდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: უნივერსიტეტის მართვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტთა მომსახურება, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა, მუშაობის ხარისხის შეფასება, საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: 2017 წელს ოფიციალურად გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სტუდენტური საცხოვრებელი. კომპლექსი სამი ოთხსართულიანი კორპუსისგან შედგება და ითვალისწინებს საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული დანიშნულების შენობასა და სპორტულ მოედანს.

განსაკუთრებულად ხაზგასასმელია ის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 300 000-ზე მეტი კურსდამთავრებული. 2017 წლის 15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ღონისძიება გაიმართა. საზოგადოება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს აერთიანებს. მათ უკვე დაისახეს კონკრეტული მიზანი - უნივერსიტეტში კვლევისა და მეცნიერების განვითარება და სტუდენტებისათვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა. ამ ღონისძიებით დაიწყო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილის აღნიშვნა, რომელიც 2018 წელს იუნესკოს ეგიდით იმართება. იუბილეს დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომლის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ–მინისტრი გიორგი კვირიკაშვილია. კომისიის შემადგენლობაში

შედიან მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები.

სახელოვანი ტრადიციების გაგრძელება და მიღწეულის კიდევ უფრო განვითარება არის დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზრუნავი. უნივერსიტეტში პრიორიტეტულია სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია, სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვა და სამეცნიერო სფეროში მათი კიდევ უფრო გააქტიურება, რაც მომავალი თაობის დაოსტატებისა და ახალი იდეების გენერირების გარანტია.

ქართველმა სიმბოლისტმა პოეტმა, გამორჩეულმა „ცისფერყანწელმა“ ტიციან ტაბიძემ უნივერსიტეტის დაარსების მეხუთე წელს დადო საქვეყნო ანდერძი, რომ „26 იანვარი (ახ. სტ. 8 თებერვალი) ყოველი ქართველისათვის უნდა შეიქნას მეორე შობად“...[2]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ღირსეულად ატარა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ფლაგმანის სახელი ერთი საუკუნის განმავლობაში. მის წიაღშივე შექმნილ სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან თუ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად შექმნა მეოცე საუკუნის სახელოვანი ქართული მეცნიერება, განათლება და თავისი საამაყო ისტორიის მეორე ასწლეულში შეაბიჯა ახალი მიზნებითა და იმედით!

[2] *tabiZe t.*, Txzulebani sam tomad, t. 2, werilebi literaturasa da xelovnebaze, 1966, 271.

ვულოცავ ჩვენს დედაუნივერსიტეტს, მის სტუდენტობასა და პროფესურას, ვულოცავ საქართველოს, თანამედროვე მსოფლიო საუნივერსიტეტო თანამეგობრობას ამ საიუბილეო თარიღს!

გიორგი შარვაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

8 თებერვალი, 2018 წ., თბილისი